ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №777256

ნომერი: AR1142805

თარიღი : 28.06.2013

გაცემის თარიღი : 08.07.2013

გაცნობის თარიღი : 10.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 126 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კვარაცხელია პ/ნ 01009007050
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 34"ა" ბ. 58

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N126–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე მანსარდის მოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას.

განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განიხილა გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N26, 02.07.13 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: "დამუშავდეს მანსარდის უფრო სადა ვარიანტი.".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით კორექტირებული საპროექტო ფოტომონტაჟის წარმოდგენის შემდგომ.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.